ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

სტუდენტთა კონტინგენტის და აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N11.

თარიღი: 15.09.2023 წ.

დადგენილება N30.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N3.

თარიღი: 07.02.2025 წ.

დადგენილება N48.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) სტუდენტა კონტინგენტის და აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ეფუძნება, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, საქართველოს კანონმდებლობასა და უნივერსიტეტში მოქმედ სამართლებრივ რეგულაციებს;

1.2. სტუდენტებისათვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტი განსაზღვრავს სტუდენტთა კონტინგენტის და აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის მექანიზმებს, რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ყველა ასპექტს:

- უნივერსიტეტის მატერიალურ - ტექნიკური რესურსი/პრაქტიკის განხორციელების ობიექტი (უძრავი და მოძრავი ქონება);
- ადამიანური რესურსი (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი და პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სხვა პირები);
- შრომის ბაზრის მოთხოვნები;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა, საგანმანათლებლო პროგრამაზე წინა წლების ჩარიცხვის სტატისტიკა და კონკრეტული პროგრამის მოთხოვნის დინამიკა საქართველოში;
- მიმდინარე სასწავლო წლისათვის დამამთავრებელ სტუდენტთა რაოდენობა.

1.3. უნივერსიტეტის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს ხდება აღნიშნული ასპექტების შესაბამისობის დადგენა სამიზნე ნიშნულებთან;

1.4. უნივერსიტეტის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხ ან/და ჩარიცხულ პირთა რაოდენობის განსაზღვრა;

1.5. პროგრამის მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავების მიზანია სტუდენტთა კონტინგენტის შესაბამისი აკადემიური/მოწვეული პერსონალით უზრუნველყოფა.

მუხლი 2. კონტინგენტის განსაზღვრის მიზანი

2.1. მეთოდოლოგიის დამტკიცების მიზანია უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო კონტინგენტის ფარგლებში შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა რელევანტური გადანაწილება საგანმანათლებლო საქმიანობის მაღალ დონეზე განსახორციელებლად;

2.2. უნივერსიტეტის მზაობა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის;

2.3. საგანმანათლებლო საქმიანობის პროცესში შესაძლო რისკების გათვლა.

მუხლი 3. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრა

3.1. უნივერსიტეტი ყოველი სასწავლო წლისთვის ახორციელებს ერთიანი ეროვნული გამოცდებით მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვას საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით;

3.2. უნივერსიტეტი ყოველსემესტრულად ახორციელებს მობილობითა და ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვას;

3.3. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის კვოტა ყოველწლიურად შეიძლება იყოს განსხვავებული:

- საგანმანათლებლო პროგრამებიდან გამომდინარე;
- საგანმანათლებლო პროგრამაზე წინა წლების ჩარიცხვის სტატისტიკიდან და კონკრეტული პროგრამების მოთხოვნის დინამიკიდან გამომდინარე საქართველოში;
- ადამიანური/მატერიალური რესურსიდან და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

3.4. ყოველწლიურად მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა, მათ შორის მობილობის წესით მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) შესაბამისად.

მუხლი 4. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მიზნით გასათვალისწინებელი ასპექტები

4.1. უნივერსიტეტის მატერიალურ - ტექნიკური რესურსი/პრაქტიკის განხორციელების ობიექტი

ა. უნივერსიტეტის მატერიალურ - ტექნიკური რესურსი – ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო სივრცე, დამხმარე ფართი (სტუდენტთა მოსასვენებელი სივრცე, სარეკრეაციო სივრცე და სხვ.), თეორიული სწავლების აუდიტორია/აუდიტორიები, კომპიუტერული და სხვა სახის ტექნიკური საშუალებების არსებობა და მათი რაოდენობა, აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე. საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა, სასწავლო ინვენტარები, პროექტორები და სხვ;

ბ. უნივერსიტეტის პრაქტიკის განხორციელების ობიექტი - საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფილი დაწესებულება, რომელთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;

4.2. უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო კვოტის შესაბამისი კომპიუტერები და სხვა ტექნიკური საშუალებები, ასევე შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი კომპიუტერული ოთახი, რომელთა რაოდენობა დგინდება საგანმანათლებლო

პროგრამების გათვალისწინებით. კომპიუტერული ოთახი ასევე განკუთვნილია სტუდენტთა და პროფესორთა თავისუფალი სარგებლობისთვის;

4.3. შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე სტუდენტთა კონსულტაციებისა და აფილირებული პროფესორებისთვის. ასევე, სამეცნიერო მუშაობისთვის განკუთვნილი კაბინეტები;

4.4. ბიბლიოთეკა - აღჭურვილი საგანმანათლებლო პროგრამებიდან გამომდინარე შესაბამისი წიგნადი ფონდით, კომპიუტერებით და საჭირო ინვენტარით. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ფონდების ხელმისაწვდომობას;

4.5. სტუდენტთა საერთო კვოტის ადეკვატური საბიბლიოთეკო სივრცე (წიგნსაცავი, სამკითხველო დარბაზი, ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალის სამუშაო სივრცე, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის სივრცე, საინფორმაციო - ტექნიკური აღჭურვილობის სივრცე) და რესურსი.

მუხლი 5. ადამიანური რესურსი

5.1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა გამომდინარეობს მისი საქმიანობის სპეციფიკიდან და განსაზღვრული სტუდენტთა კვოტის ფარგლებში;

5.2. სტუდენტთა კონტინგენტის გაანგარიშებისას უნივერსიტეტი ადმინისტრაციულ რესურსს განეკუთვნება უნივერსიტეტის რექტორი, ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, სკოლის დეკანი/მოადგილე, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი/თანაშემწე, სამსახურების ხელმძღვანელები/სპეციალისტები;

5.3. აკადემიური პერსონალის რაოდენობა გამოითვლება სკოლის ფარგლებში საერთო მაქსიმალური კვოტის და საგანმანათლებლო პროგრამების გათვალისწინებით;

5.4. აფილირებული პროფესორის რაოდენობა გამოითვლება სკოლის ფარგლებში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების გათვალისწინებით;

5.5. მოწვეული სპეციალისტის რაოდენობა განისაზღვრება სკოლის ფარგლებში თითოეული სასწავლო წლისათვის განსაზღვრული მოსალოდნელი მისაღები სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სასწავლო კურსებიდან გამომდინარე.

მუხლი 6. სამიზნე ნიშნულები

6.1. უნივერსიტეტის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს ხდება აღნიშნული ასპექტების შესაბამისობის დადგენა შემდეგ სამიზნე ნიშნულებთან:

ა. აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტთა კონტინგენტის ზღვრული რაოდენობისა და თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის. კერძოდ: აკადემიური/მოწვეული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტთან მიმართებაში არ უნდა აღემატებოდეს 1/30;

ბ. აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებაში თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის არ უნდა აღემატებოდეს 2/1;

გ. ერთი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში სავალდებულოა მონაწილეობდეს მინიმუმ 5 (ხუთი) აფილირებული პერსონალი;

დ. ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობასთან არ უნდა აღემატებოდეს 1/50;

ე. სასწავლო სივრცეებში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 1 (ერთი) კომპიუტერი 25 (ოცდახუთი) სტუდენტზე;

ვ. სტუდენტთა კონტინგენტი ორმაგდება სასწავლო პროცესის დაგეგმვის თავისებურების გათვალისწინებით - 2 (ორი) ცვლაზე.

მუხლი 7. საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტების და პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის დამატებითი ასპექტები

7.1. საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების და პერსონალის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს (გარდა ამ დებულებით განსაზღვრული ზოგად საუნივერსიტეტო ნიშნულებისა) ასევე, ხდება აღნიშნული ასპექტების შესაბამისობის დადგენა შემდეგ სამიზნე ნიშნულებთან:

საბაზისო დისციპლინები:

ა. სასწავლო - კვლევით ლაბორატორიაში სასწავლო კურსის განმავლობაში სამუშაო სივრცე გათვლილია ერთდროულად 10 - 15 სტუდენტზე 1 საკონტაქტო საათის ფარგლებში უსაფრთხოების დადგენილი წესების დაცვით;

ბ. უზრუნველყოფილია რესურსი და IT - ინფრასტრუქტურა სინქრონული და/ან ასინქრონული დისტანციური სამუშაო შეხვედრების ჩატარებისათვის.

პრეკლინიკური დისციპლინები (სწავლების პრეკლინიკურ ეტაპზე სწავლების განხორციელება საუნივერსიტეტო /სასწავლო სივრცეში არსებულ სიმულაციურ ცენტრებში)**:**

გ. აღნიშნული ცენტრები უზრუნველყოფილია სათანადო სასწავლო ფართით, კურიკულუმით განსაზღვრული შედეგებით (მანუალური უნარები/კლინიკური კომპეტენციები) გათვალისწინებული სამედიცინო მანიპულაციების ჩატარებისათვის აუცილებელი სიმულატორების და მანეკენების რეკომენდებული ჩამონათვალით არაუმეტეს 10 სტუდენტისა ერთდროულად 1 საკონტაქტო საათის ფარგლებში.

კლინიკური დისციპლინები:

პაციენტი/სტუდენტის თანაფარდობა სასწავლო კურსის/კურაციის გავლის პერიოდში უნდა შეადგენდეს:

ა. თერაპიული პროფილის დეპარტამენტებში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 8 სტუდენტის;

ბ. ქირურგიული პროფილის დეპარტამენტებში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 8 სტუდენტის;

გ. მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 8 სტუდენტის;

დ. პედიატრიის დეპარტამენტში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 8 სტუდენტის;

ე. რეანიმაციის/ინტენსიური თერაპიის დეპარტამენტებში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 6 სტუდენტის.

7.2. უნივერსიტეტს გააჩნია საკუთარი, სათანადოდ აღჭურვილი კლინიკური უნარების ცენტრი/ლაბორატორია.

7.3. საექთნო საქმის პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (გარდა ამ დებულებით განსაზღვრული ზოგად საუნივერსიტეტო ნიშნულებისა) გამოითვლება სასწავლო ჯგუფების რაოდენობის, პერსონალის დატვირთვის, კვირეული სასწავლო დატვირთვის, დისციპლინების (საბაზისო, პრეკლინიკური, კლინიკური) შინაარსის მიხედვით.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებანი

8.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;

8.2. უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;

8.3. დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

8.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.